რეკრეაცია და გამაჯანსაღებელი ტურიზმი

gigi yufaraZe

Tbilisi

2016 weli

ლექცია N I

ტურიზმი და საკურორტო საქმე. საკურორტო საქმის თანამედროვე მდგომარეობა და ამოცანები.

ძირითადი ცნებები

რეკრეაცია (recreation) - ბერძნული სიტყვაა და აღდგენას ნიშნავს. შესაბამისად რეკრეალოგია (recreation+Logos – მეცნიერება) ნაწარმოებია ამ სიტყვისაგან. Recreo, avi, atum, are თუ ვთარგმნით ლათინურიდან ნიშნავს აღდგენას, განახალებას. recreari e morbo – გაჯანსაღება.

ძირითადი ცნებები

ამ ცნების ქვეშ, როგორც წესი, გულისხმობენ დასვენებას, ადამიანის ძალების აღდგენას, რომლებსაც ის ხარჯავს შრომის პროცესში. მას განმარტავენ როგორც ადამიანის საქმიანობას შრომისაგან თავისუფალ დროს, რომლის მიზანია ფიზიკური, სულიერი ძალების აღდგენა, უპირატესად ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებით, სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ტერიტორიებზე, რომლებიც მუდმივი საცხოვრებელი გარემოს გარეთაა.

ძირითადი ცნებები

კურორტოლოგია - მედიცინის დარგია, რომელიც შეისწავლის კლიმატის, მინერალური წყლების, სამკურნალო ტალახების და სხვა ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების თვისებებს, მათი ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების მექანიზმებს და შეიმუშავებს სანატორულ-კურორტული მკურნალობისა და საკურორტო საქმის ორგანიზაციის სამეცნიერო საფუძვლებს.

კურორტოლოგიის ნაწილებია: ბალნეოლოგია, ბალნეოთერაპია, ბალნეოტექნიკა, პელოიდოთერაპია (ტალახებით მკურნალობა) და სამედიცინო კლიმატოლოგია.

ძირითადი ცნებები

ბუნებრივი სამკურნალო (საკურორტო) რესურსი – მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახი, სამკურნალო კარსტული მღვიმეები,ზღვა, ტყე, სამკურნალოკლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურესები, რომლებიც გამოიყენება მკურნალობის, პროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით.

ძირითადი ცნებები

საკურორტო საქმიანობა – ბუნებრივი სამკურნალო რესურსების, მათით სარგებლობისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და მოწყობილობების (ჭაბურღილი, ბიუვეტი, გალერეა, ტალახით სამკურნალო, პლაჟები, კლიმატური პავილიონი, აეროსოლარიუმი და სხვა) და ინფრასტრუქტურის ობიექტების (სანატორიუმი, სასტუმრო, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი, და სხვა) გამოყენების ორგანიზება პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით.

საკურორტო ადგილი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი ექსპლუატაციისათვის

კურორტი – საკურორტო ადგილი, რომელზეც განლაგებულია სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულება, ნაგებობა და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები

საქართველო კურორტების ქვეყანაა. მისი სუბტროპიკული ზონის საზღვარზე განლაგება ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიის ქედებით, ხოლო სამხრეთიდან სამხრეთ საქართველოს მთიანეთით გარემოცვა, შავი ზღვა, ადგილმდებარეობის რთული რელიეფი და სხვადასხვაგვარი მცენარეული სიმდიდრე გახდა იმის მიზეზი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ჰავა, დაწყებული შავი ზღვის ნოტიო სუბტროპიკულ და აღმოსავლეთ საქართველოს ველების შედარებით მშრალიდან, დამთავრებული ყველა სიმაღლის ზონების მთიანი ჰავით, რაც საფუძვლად დაედო ზღვისპირეთისა და მთის კლიმატური კურორტების სიმრავლეს.
კლიმატური პირობები გამოირჩევა გამოხატული თერაპიული თვისებებით და გამოიყენება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ. კლიმატური მკურნალობა განსაკუთრებით ეფექტურია ზღვისპირა, დაბალი და საშუალო მთის ქვედა სარტყლის პირობებში.

ასევე, მრავალფეროვანია ქვეყნის ჰიდრომინერალური რესურსები. რელიეფის რთული გეოლოგიური აგებულება განაპირობებს ლანდშაფტის სიჭრელეს, ხოლო ქანების მრავალფეროვნება ქმნის მიწისქვეშა წყლების ქიმიურად განსხვავებულ სახეობებს. მინერალური წყლების გამოსასვლელები ძირითადად დაკავშირებულია ტექტონიკურ რღვევებთან. საქართველოში 2000-ზე მეტი მინერალური წყლის წყაროა, რომელთაგან 1700-ზე მეტს ბუნებრივი გამოსავალი აქვს, ხოლო 300-ზე მეტი მიიღება ჭაბურღილებიდან.



საქართველო კურორტების ქვეყანაა

103 კურორტი
182 საკურორტო ადგილი

saqarTvelo

საბჭოთა კავშირის რივიერა თუ შვეიცარია

წარსული

turistebisa da damsveneblebis raodenoba [1989 w.]

organizebuli turistebi ssrk-dan - 1.600.000
organizebuli turistebi sxva qveynebidan - 180.000
araorganizebuli turistebi - 2,3.000.000
sul: 4-5 mln.

ganTavsebis saSualebaTa raodenoba 624
sawoli adgilebis raodenoba 152000
sawoli adgilebis raodenoba sakurorto obieqtebze 103000

1991-2004

2005



2016

სტაგნაცია ტურიზმისა და საკურორტო ინდუსტრიაში გრძელდებოდა1995-96 წლებამდე. თუმცა 1995 წელს უცხოელ ტურისტთა რიცხვი მხოლოდ 85 ათასს (?!) აღწევდა. ალბათ, გარდატეხის წლად 2005 წლი უნდა ჩაითვალოს, როცა უცხოელ ვიზიტორთა რიცხვის ზრდამ წლის განმავლობაში 52%-ს მიაღწია



2015 წელს საერთაშორისო შემოსვლების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა 5,901,094 და ის მჭიდროდ მიუახლოვდა ექვს მილიონიან ზღვარს. ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით +7%-ია. ქვეყანაში შემოვიდა 385,535-ით მეტი საერთაშორისო მოგზაური, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ეკონომიკური მაჩვენებლები.

საერთაშორისო შემოსვლები ტიპების მიხედვით

	2012	2013	2014	2015	ცვლილება % 2014-2015
სულ	4,428,221	5,392,303	5,515,559	5,901,094	7%
24 სთ. და მეტი (ტურისტი)	1,789,592	2,065,296	2,229,094	2,281,971	2.4%
ერთდღიანი ვიზიტი	1,883,670	2,138,216	2,172,429	2,218,288	2.1%
ტრანზიტი	754,959	1,188,791	1,114,036	1,400,835	25.7%

საერთაშორისო შემოსვლები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2014	2015	ცვლილება	ცვლილება %
სომხეთი	1,325,635	1,468,888	143,253	10.8%
აზერბაიჯანი	1,283,214	1,393,257	110,043	8.6%
თურქეთი	1,442,695	1,391,721	-50,974	-3.5%
რუსეთი	811,621	926,144	114,523	14.1%
უკრაინა	143,521	141,734	-1,787	-1.2%
ისრაელი	42,385	59,487	17,102	40.3%
პოლონეთი	46,314	41,425	-4,889	-10.6%
გერმანია	33,446	36,826	3,380	10.1%
ყაზახეთი	28,394	36,777	8,383	29.5%
აშშ	28,272	31,147	2,875	10.2%

საზღვრის კვეთის მონაცემების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში საერთაშორისო მოგზაურების 38.7% დარჩა,. 24 საათზე ნაკლები პერიოდით ჩამოსულთა რიცხვი 37.6% და ტრანზიტულ ვიზიტორთა წილი 23.7% შეადგენს.

საერთაშორისო ტურისტული შემოსვლები, პირველი 10 ქვეყანა

ქვეყანა	2014	2015	ცვლილება	ცვლილება %
რუსეთი	503,331	535,553	32,222	6.4%
აზერბაიჯანი	424,116	428,870	4,754	1.1%
თურქეთი	395,200	373,296	-21,904	-5.5%
სომხეთი	348,489	322,704	-25,785	-7.4%
უკრაინა	113,206	109,445	-3,761	-3.3%
ისრაელი	40,882	57,213	16,331	39.9%
პოლონეთი	42,519	38,304	-4,215	-9.9%
ყაზახეთი	24,229	32,308	8,079	33.3%
გერმანია	28,255	31,556	3,301	11.7%
აშშ	23,800	27,581	3,781	15.9%

საერთაშორისო შემოსვლები თვეების მიხედვით
900000
800000
700000
600000
500000
400000
300000
200000
100000
0
2013
2014
2015
იან
თებ
მარ
აპრ
მაი
ივნ
ივლ
აგვ
სექ
ოქტ
ნოე
დეკ

2015 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1.94 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა (ზრდა +8.3%). შიდა ტურიზმის დანახარჯებმა 1.53 მლრდ ლარი შეადგინა. მშპ-ში ტურიზმის წილმა კი 6.7%.

საქართველოს მოქალაქეების დანახარჯებმა უცხოურ ტურიზმზე 0.33 მილიარდი დოლარი შეადგინა (ზრდა +10.2%). შედეგად, უცხოური ტურიზმის ბალანსი საქართველოში შეადგენდა 1.61 მილიარდ დოლარს (ზრდა +8%).

2015 წელს საერთაშორისო მოგზაურების მიერ უცხოური საგადახდო ბარათებით განხორციელებულმა ოპერაციებმა 1.46 მილიარდი ლარი შეადგინა, წინა წელთან შედარებით 27.8%-იანი ზრდა დაფიქსირდა.



შიდა ვიზიტორებმა მთლიანობაში დაახლოებით 12.4 მილიონი ვიზიტი განახორციელეს. ყველაზე მეტი ვიზიტი თბილისიდან 25.7% და იმერეთიდან 21.7% დაფიქსირდა. შიდა ვიზიტების უმეტესობა საქართველოს მთავარი ქალაქების მიმართულებით განხორციელდა. თბილისი ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილია -24%, შემდეგ მოდის ქუთაისი 8% და ბათუმი 7 %. რეგიონებს შორის ყველაზე პოპულარული იმერეთი-21.1%, აჭარა -10.8% და კახეთი- 8.5% იყო.





54.5%

შიდა ვიზიტების უმეტესობა მეგობრებისა და ნათესავების მოსანახულებლად განხორციელდა

შიდა ვიზიტორების მიერ განხორციელებული ღამისთევების საერთო რაოდენობამ შეადგინა 26.9 მილიონი. დანახარჯების ჯამური მაჩვენებელი 1.53 მილიარდ ლარს აღემატებოდა, ხოლო ერთი ვიზიტისას გაწეული საშუალო დანახარჯი 124 ლარს შეადგენდა.



საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,475 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 51,404. თბილისი ლიდერია 13,218 (25.7%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს აჭარის რეგიონი - 11,293 (22%) რაოდენობით.



საწოლი ადგილების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



თბილისში რამდენიმე საერთაშორისო ბრენდის სასტუმროა: Radisson, Marriott, Sheraton, Holiday Inn, Citadine, Cron Palace, Best Western. 2015 წელს ამ სიას Mercure da Hotels and Preference Hualing დაემატა. რაც შეეხება ბათუმს, იქ არსებულ Radisson-is, Sheraton-is და Divan-ის ბრენდის სასტუმროებს დაემატა Hilton.



მსოფლიო გამაჯანსაღებელი ტურიზმის (wellness industry) ბაზრის მოცულობამ 2013 წელს $3,4 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც 3,4-ჯერ მეტია ვიდრე ფარმაცევტული მრეწველობის ბაზარი.

ამ ინდუსტრიის ძირითადი სექტორებია:

- სილამაზე და გაახალგაზრდავება ($ 1,025 ტრილიონი)
- ჯანმრთელი კვება/გახდომა ($ 574,2 მილიარდი)
- გამაჯანსაღებელი ტურიზმი ($ 494 მილიარდი)
- ფიტნესი/სხეულის მოვლა ($ 446,4 მილიარდი)
- პროფილაქტიკა/პერსონიზირებული მედიცინა ($ 432,7 მილიარდი)
- ალტერნატიული მედიცინა ($ 186,7 მილიარდი)
- ჯანმრთელი ცხოვრების წესის უძრავი ქონება ($100 მილიარდი)
- სპა ინდუსტრია ($ 94 მილიარდი)
- თერმული და მინერალური წყლები ($ 50 მილიარდი)
- ველნესის სამუშაო ადგილები ($ 40,7 მილიარდი)

2013 წელს გამაჯანსაღებელი ტურიზმის მოცულობა 2012 წელთან შედარებით გაიზარდა 12,5 %-ით და შეადგინა 494 მლრდ. დოლარი. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლს, რომელიც 9 %-ის ფარგლებში იყო.

- გლობალური ველნეს ინსტიტუტისა (The Global Wellness Institute ™ (GWI) და ამერიკული კვლევითი ორგანიზაცია SRI International-ს მონაცემებით მსოფლიო სპა ინდუსტრია ექვსი წლის მანძილზე 60 მილიარდი აშშ. დოლარიდან (2007 წ), გაიზარდა 94 მილიარდამდე (2013 წ). მატებამ 7,7% შეადგინა და საინტერესოა, რომ მსოფლიო რეცესიის პერიოდშიც კი არ შენელებულა ზრდის ტემპი.

SRI International -ის შეფასებით ამავე პერიოდში სპა ცენტრების რაოდენობამ 27%-ით მოიმატა და 2007 წელს არსებული 71762-დან 2013 წელს 105591-ს მიაღწია.

Center Spa

2014 წელს SRI International-მა ისტორიაში პირველად ჩაატარა თერმული და მინერალური წყლების სექტორის კვლევა. მისი მოცულობა შეფასდა $ 50 მილიარდად და ბაზრი მოიცავს 26847 მესაკუთრეს მთელს მსოფლიოში.

გისურვებთ ჯანმრთელობას და კარგ განწყობილებას!